შეტყობინება აქციების გასხვისების შესახებ - სს მისო კრისტალი

ძვირფასო აქციონერებო, გვსურს გაცნობოთ, რომ სს მისო კრისტალის აქციონერმა ლუკა ნარმანიამ გამოხატა სურვილი 1000 (ათასი) ერთეული აქციის გასხვისების თაობაზე.

სს მისო კრისტალის წესდების 4.3.1 პუნქტის თანახმად (უპირატესი შესყიდვის უფლება) უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ დაზღვეული წერილით ვაცნობებთ აქციონერებს, რომლებიც ფლობენ ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 1 პროცენტს.

გთხოვთ, გამოხატოთ თქვენი სურვილი ისარგებლოთ უპირატესი შესყიდვის უფლებით ამ შეტყობინების გამოქვეყნებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

სს მისო კრისტალის წესდების 4.3.1 პუნქტი

აქციონერებს უფლება აქვთ:

4.1.1. გაასხვისონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და აქციონერთა შორის შეთანხმების შესაბამისად. თუ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან აქციონერები, აქციონერის მიერ საკუთარ აქციებზე საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში, სხვა აქციონერებს ექნებათ ასეთი აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება საზოგადოების აქციების საერთო რაოდენობაში მათი შესაბამისი წილის პროპროციულად. აქციონერმა სხვა აქციონერებს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება თავის აქციებზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. აქციონერებმა, რომლებსაც სურთ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება, აქციები უნდა შეისყიდონ შეტყობინების მიღების თარიღიდან ოცი (20) დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერები არ შეისყიდიან აქციებს აღნიშნულ პერიოდში ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, უპირატესი შესყიდვის უფლება გაუქმებულად ჩაითვლება;

უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების სურვილის დასაფიქსირებლად, მიმართეთ კორპორაციულ მდივანს, ნინო მეტრეველს (ელ-ფოსტა: n.metreveli@rystal.ge).